



GLOBAL INITIATIVE FOR ASTHMA

ასთმის მსოფლიო დღე (WAD) (5 მაისი, 2021) ორგანიზებულია გლობალური ასთმის ინიციატივის (GINA) (www.ginasthma.org) მიერ, რომელიც არის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან კოლაბორაციაში მყოფი ორგანიზაცია დაარსებული 1993 წელს. მსოფლიო ასთმის დღე იმართება ყოველწლიურად მაისის თვეში, ასთმის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. ჯანმო (WHO) მიიჩნევს, რომ ასთმას მსოფლიო ჯანდაცვისთვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, გლობალურად 339 მილიონზე მეტი ადამიანია ასთმით დაავადებული (1) და 2016 წელს მსოფლიოში ასთმით გამოწვეული სიკვდილიანობის 417,918 შემთხვევა დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ასთმის განკურნება, შეტევების (ასთმის გამწვავების, ეპიზოდების) შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია ასთმის მართვა.

წლებანდელი ასთმის მსოფლიო დღის თემაა „ასთმის შესახებ არსებული მცდარი წარმოდგენების გამოვლენა“. ღონისძიება მოგვიწოდებს მოქმედებისკენ, რომელიც მიმართულია ასთმის შესახებ ფართოდ გავრცელებული მითებისა და არასწორი წარმოდგენების გაქარწყლებისაკენ, რაც ასთმით დაავადებულებს ხელს უშლის მათი მდგომარეობის მართვაში არსებული დიდი მიღწევების გამოყენებასა და მათგან ოპტიმალური სარგებლის მიღებაში. ასთმის გარშემო არსებული არასწორი წარმოდგენებია:

1. ასთმა ბავშვთა ასაკის დაავადებაა; ასაკის მატებასთან ერთად ასთმა გაივლის.
2. ასთმა ინფექციური დაავადება.
3. ასთმით დაავადებულებმა არ უნდა ივარჯიშონ.
4. ასთმის კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ მაღალი დოზის სტეროიდების გამოყენებით.

სიმართლეთა:

1. ასთმა შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში (ბავშვებში, მოზარდებში, მოზრდილებში და მოხუცებში).
2. ასთმა არ არის ინფექციური დაავადება. თუმცა რესპირაციული ინფექციები (მაგ: სურდო, გრიპი) შესაძლოა გახდეს ასთმის შეტევების მიზეზი. ასთმა რომელიც ბავშვთა ასაკში იწყება ხშირად ასოცირდება ალერგიასთან, ხოლო ასთმა, რომელიც ვითარდება ზრდასრულებში ნაკლებადაა ალერგიული წარმომავლობის.
3. როდესაც ასთმა კარგად კონტროლდება, ასთმის მქონე სუბიექტს შეუძლია ივარჯიშოს და პროფესიონალურად დაკავდეს სპორტით.

4. ასთმის შემთხვევათა უმეტესობის კონტროლი შესაძლებელია დაბალი დოზის საინჰალაციო სტეროიდების გამოყენებით.

GINA მოგიწოდებთ თქვენს ქვეყანაში ან რეგიონში ასთმის შესახებ არსებული მითების და არასწორი წარმოდგენების გაქარწყლების მიზნით, ჩაწეროთ და გამოგვიგზავნოთ არაუმეტეს 15 წამიანი ვიდეო. დამატებითი ინფორმაციისთვის, ნიმუშის და დრაფტისთვის დაგვიკავშირდით. თქვენი იდეები და ვიდეოები გამოგვიგზავნეთ შემდეგ მისამართზე k.rurey@ginasthma.org (მოგვაწოდეთ 30 მარტამდე, 2021).

ჩვენ ვგეგმავთ შევარგოვით ასთმის შესახებ არსებული მითები და მცდარი წარმოდგენები მსოფლიოს მასშტაბით და გამოვაქვეყნოთ სოციალურ ქსელში, ასთმის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

ასთმის მსოფლიო დღე პრიველად 1998 წელს ჩატარდა და ყოველწლიურად იზრდება მისი მასშტაბები. ასთმის მსოფლიო დღე მსოფლიოში ასთმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად იქცა. დამატებითი ინფორმაცია GINA-ს და ასთმის მსოფლიო დღის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ GINA-ს ვებ-გვერდზე: www.ginasthma.org. დოკუმენტები, რომლებიც დეტალურად აღწერს GINA-ს გლობალურ სტრატეგიას ასთმის დიაგნოზირების, მართვისა და პროფილაქტიკის შესახებ, ასევე შეგიძლიათ იხილოთ www.ginasthma.org

References:

1. World Health Report. Geneva: World Health Organization. Available from URL: <http://www.who.int/respiratory/asthma/en/>, 2018.
2. Global, regional, and national incidence, prevalence, and years lived with disability for 328 diseases and injuries for 195 countries, 1990–2016: a systematic analysis for the Global Burden of Disease Study 2016. Lancet 2017; 390: 1211–59.
3. Network GA. The Global Asthma Report, Auckland, New Zealand. (2018).
4. Global Health Estimates 2016: Deaths by Cause, Age, Sex, by Country and by Region, 2000-2016. Geneva, World Health Organization; 2018.

Global Health Estimates 2016: Disease burden by Cause, Age, Sex, by Country and by Region, 2000-2016. Geneva, World Health Organization; 2018.